საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

ოთხშაბათი მაისი 11
1921 წ.
№ 58
ფასი 100 მანეთი


# სოციალისტ-ფედერალისტი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29


მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 3000 მან.


ტფილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია აუწყებს საზოგადოებას, რომ ოთხშაბათს, მაისის 11-ს, ნაშუადღევის 5 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ამავე გიმნაზიის ყოფილ დირექტორის დაუვიწყარ

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად. 944

მუდამ მწუხარებაში მყოფი მეუღლე ნატალია ალმასხანის ასული ლორთქიფანიძისა და შვილები: გიორგი და შალვა ილარიონის ძენი ლორთქიფანიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მაისის 11-ს, დღით ოთხშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე ვერის წმ ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად. 945

11 მაისს, დღით ოთხშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძმები მისი: კონსტანტინე, ბესარიონ და დავით ტარიელის-ძენი ლორთქიფანიძეები ოჯახობით. 945

11 მაისს, დღით ოთხშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ შვილი მისი ანნა ილარიონის ასული და სიძე პეტრე ივანეს ძე ქავთარაძეები შვილებით. 945

11 მაისს, დღით ოთხშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ შვილი მისი ნინო ილარიონის ასული და სიძე ივანე ლევანის ძე ცაგარელები შვილებით. 945

მწუხარებით გულ დათუთქული მეუღლე ალექსანდრე ნესტორის ძე დოლიძე ძმებით: მიხაკო, ისიდორე, გიორგი, სიმონ და ვანო დოლიძეებით რძლებით: მაშო, ვარდო, ნადეჟდა, ვარდო და იულითი დოლიძეებისა. ამით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვალებას მათი საყვარელი მეუღლის

**ნინა სერგოს ასულის დოლიძისა**

გამოსვენება ვოგზლის ქუჩა № 65 ხუთშაბათს 12 მაისს დღის 2 საათზე დაკრძალვა წმინდა ნინოს ეკლესიაზე. 960

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის უწყების ქვეშ მყოფი.
პირველი ქართული საბუხჰალტერიო კურსები
**ალ. გ. საათაშვილისა**
პირობის გაგება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ. მისამართი: ლუშვეთის ქუჩა, სახ. № 9 (1-ლი რაიონი) წყნეთის ქუჩასთან ახლოს, ტრამვაი № 5. 969

## ფილოსოფიური საზოგადოების პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ფილოსოფიური საზოგადოება ამ დღეებში განაახლებს თავის მუშაობას.

მოხსენებებს წაიკითხავენ:

**შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე გამსახურდია და დიმიტრი უზნაძე.**

## საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებს.

ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტისა და საკონტროლო კომისიის დადგენილებით ქ. ტფილისში მაისის 22-სათვის დანიშნულია საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების

### კონფერენცია

კონფერენციის განსახილავ საგნებად დანიშნულია:

1. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება,
2. საკონტროლო კომისიის მოხსენება,
3. მოხსენებები ადგილებიდან,
4. საორგანიზაციო გეგმა და საორგანიზაციო საკითხები,
5. კაპიტალიზმი და მსოფლიო რევოლუცია,
6. ინტერნაციონალი,
7. არჩევნები ცენტრალური კომიტეტისა და საკონტროლო კომისიისა და
8. მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა: ყოველ 50 წევრზე ერთი დელეგატი, სადაც ამაზე ნაკლებია მაინც ერთი. კონფერენცია ნებადართულია.

დელეგატები ჩამოსვლისას მიმართავენ ამხ. ლორთქიფანიძეს (საღამოს 4—6 ს.) —ქავთარაძის ქ. № 9. ყოველგვარი მიმოწერა ცენტრალურ კომიტეტთან, კონფერენციამდე, ამავე მისამართით უნდა აწარმოოთ.

საქართ. ახალგ. მარქ. ორგ. ცენტრალური კომიტეტი.

ოთხშაბათს მაისის 11-ს, საღამოს 7 საათზე შესდგება

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების**

## მორიგი სხდომა,

ამ სხდომაზე

**კონსტანტინე გამსახურდია**

განაგრძობს თავის მოხსენებას:

### „იტალიის რენესანსი“.

მოხსენებათა მეორე ხერხი. იტალიის პოლიტიკური მდგომარეობა მეთოთხმეტე საუკუნეში. ტირანული სახელმწიფონი და ტირანების კულტურ-ისტორიული მნიშვნელობა. ეკლესიის სახელმწიფო მე-13 და მე-14 საუკუნეში. პაპა ალექსანდრე მე-VI, ჩეზარე ბორჯია, და კოლა დი რიენცო. რიენცოს რევოლუცია რელიგიოზური რეფორმაციის დასაწყისი. მედიჩები ფლორენციაში და კოზიმო დე მედიჩი. ჰიერონიმუს სავონაროლა. ინდივიდუუმი და საზოგადოება რენესანსის დროში.

დასწრება ყველას შეუძლია.

## დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის

## გამგეობა

ამა წლის მაისის 15-ს დილის 11 საათისთვის, იწვევს კავშირის წევრთა საერთო კრებას. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. ძველი გამგეობის მოხსენება.
2. დროებითი გამგეობის მოხსენება.
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. კავშირის რეორგანიზაცია.
5. შრომის ბიუროს.
6. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
7. მიმდინარე საკითხები.

წევრთა დასწრება სავალდებულოა. კრება კანონიერად ჩაითვლება, დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად, ვინაიდან ის მეორეთ ინიშნება.

947 კავშირის გამგეობა.

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურად სიფილისი (914 წ 606) საშარდო ორგანოთა ვენერიული სნეულება, ხუხუნათი და შედეგები.

ახალი ივერთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლოს. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

## პრესის მაგიერ

გაზეთ „კომუნისტს“ გარკვეული კითხვა დავუყენეთ: გამოსთქვით თქვენი შეხედულება საზოგადოდ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა და კერძოდ საქართველოს საზღვრების შესახებ-თქო. ამ საკითხის დასმა აუცილებელი შეიქნა მას შემდეგ, რაც ჩვენ გავიგონეთ კომუნისტების წრიდან გამოსული ლოზუნგი—საზღვრები უნდა წაიშალოსო. თავის თავად ცხადია, რომ ეს საკითხი ჩვენ დემაგოგიის მიზნით არ წამოგვიყენებია და კომუნისტებიც არ მოისურვებენ ჩვენთვის დემაგოგიის თავზე მოხვევით საკითხი ჩრდილში დარჩეს. ჩვენთვის ბოლოს და ბოლოს იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა სთქვა მოქ. ნარიმანოვმა, არამედ ჩვენთვის არსებითი ღირებულება აქვს ჩვენი კომუნისტების შეხედულებას საზღვრების საკითხზე. ამის გამო ჩამოვაშოროთ ამ საკითხს ყოველივე ზედ-მეტი საპოლემიკო ფრაზები, ან გამოდმა გამოდგევების მეთოდი და საგანს არსებითად შევეხოთ.

რა სთქვა „კომუნისტმა“ საზღვრების შესახებ?

საბჭოთა უფლების „ძალა უფლების ნიადაგზე ეროვნულ დამოუკიდებლობისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ სად თავდება ესა თუ ის საზღვარი“... ასეთია პრინციპიალი შეხედულება კომუნისტების. აქ განცხადებაში კატეგორიულობა არის, მაგრამ გარკვეულობა არაა. კიდევ მეტი, აქ შესაძლებელია დიდი შეცდომაც იყოს; მართლაც რას ნიშნავს, რომ საბჭოთა ძალა-უფლების ნიადაგზე მნიშვნელობა არა აქვს თუ სად იქნება გავლებული საზღვარი? თუ ეს პირდაპირ უნდა გავიგოთ, მაშინ შეიძლება თუ არა ძალა უფლების ნიადაგზე საქართველოს საზღვარი გავავლოთ გორთან? ცხადია, რომ არა. მაშ საქმეს არ სწყვეტს საბჭოთა ძალა უფლება, არამედ სხვა რამ, რაც უფრო რეალურია და უფრო ღირებული ვიდრე კონსტიტუცია. „კომუნისტის“ პოზიცია, რომ მართალი იყოს, მაშინ შეგვიძლია თავისუფლად გაიყვანოთ საქართველოს საზღვარი გორთან, ტფილისთან და სხვ. რადგან სულ ერთია საბჭოთა ძალა-უფლების ნიადაგზე, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ეს მეტად უხეირო დაცვაა საბჭოთა სისტემის და კიდევ უფრო უხეირო ნაციონალი პოლიტიკა იქნებოდა. ამ დასკვნას არ აკეთებს „კომუნისტი“, მაგრამ უნდა გაკეთოს თუ ბოლომდე მსჯელობა სურს. ძოულოდნელ შედეგს შეუძლია ისინი ჩააფიქროს და გააგებინოს, რომ მათი ძირითადი დებულება ყოვლად შემცდარია.

„როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი შეხედულება ოთ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა საზღვარზე... ერთი ცხადია, რომ მას (საზღვარს შ. ნ.) ჩვენ ვერ დავუმორჩილებთ საკითხს სტრატეგიული მიზანშეწონილობის ან ეგრედ წოდებულ ბუნებრივულ საზღვრების შესახებ“. ასე სწერს „კომუნისტი“.

აქაც არაა გარკვეული პასუხი ჩვენს კითხვაზე. „კომუნისტი“ სიტყვას ბანზე აგდებს და გამოდმა გვედავება: ჩვენ ვერ მივიღებთ ომის გამოწვევ „ბუნებრივ“ საზღვრებსო; როდესაც „ბუნებრივი“ საზღვრები ვახსენეთ ჩვენს შენიშვნაში, ის დაუპირისპირეთ „ხელოვნური“ საზღვრების ცნებას და გვსურდა გაგვეგო „კომუნისტის“ შეხედულება არა საომარ საზღვრებზე არამედ საქართველოს საზღვრებზე მივიღეთ პასუხი? არა ნაცვლად პასუხისა უბრალო დეკლარაცია. რა თქმა უნდა „კომუნისტებისაგან“ ჩვენ არ მოვითხოვდით და არც მოვითხოვთ სტრატეგიულ საზღვრების გამორკვევას ჩვენ შორის ეს სადაო არაა და ამაზე ლაპარაკი ან საკითხის გართულებაა ან სისუსტის დემონსტრაცია.

„კითხვა საზღვრების შესახებ სხვა და სხვა დროს შეიძლება სხვა და სხვა ნაირად გადაიჭრას რეალური მოსახლეობის ან არსებულ ეკონომიური ხასიათის გარემოებათა მიხედვით“. რა პასუხია ეს ჩვენს კითხვაზე, აქ ყველაფერია გარდა პასუხისა. რა სათქმელია, რომ საკითხი სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა გვარად შეიძლება გადიჭრას. ჩვენ გეკითხებით: აი ჩვენს დროში, აი ამ მომენტში როგორ სჭრით თქვენ საკითხს საზღვრების შესახებ. ასეთია კითხვა, რომელიც დგას თქვენს წინ და ქართველი მშრომელი მასა ელის პასუხს ამ კითხვაზე, პასუხს გარკვეულს და არა მიკიბულ-მოკიბულს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კომუნისტებს აქვთ პასუხი საქართველოს საზღვრებზე და ჩვენ არა დემაგოგიას ან რაიმე უკანა მოსაზრებით, არამედ საკითხის გარკვევისათვის აზრთა გაცვ-

ლა-გამოცვლის ნიადაგზე გვსურს და საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ეს პასუხი გამოცხადდეს საქართველოს საზღვრების კონკრეტ. სახელებით.

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია კომუნისტის განცხადება: „ჩვენ მოსურნე ვიქნებოდით გაგვეგო მოქ. შ. ნ—საგან, როდის და სად დასვა კითხვა ეროვნული დამოუკიდებლობის მოსპობის და საზღვრების გაუქმების შესახებ ჩვენს დროში"-ო. ეს კამათია და არა გამოძიება და ჩვენ კითხვა დავაყენეთ, რომელზედაც პასუხის მიღება გვინდოდა საერთო საქმის სასარგებლოდ. „კომუნისტს" არავინ ეძიებოდა ამ შემთხვევაში ზოგიერთ „ზომების" შესახებ და ის თვითონ გაიძახის ნუ იფიქრებთ, რომ საზღვრების და დამოუკიდებლობის მოსპობისაკენაა მიმართული ჩვენი „ზოგიერთი ზომებიო", ის ამით ნაცვლად გარკვეული პასუხისა ჩვენს კითხვაზე, გარკვეულად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს.

ჩვენ ერთხელ კიდევ მოვითხოვთ „კომუნისტისაგან" სერიოზულად დაწერილს და სრულიად გარკვეულ პასუხს კითხვაზე: როგორ წარმოუდგენიათ მათ დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები. სერიოზულობას „კომუნისტს" არ მოვაგონებდით, რომ იქ სრულიად მავნებელი საქმიან კამათისათვის ვარჯიშობას არ ჰქონდეს ადგილი: ასეთია თქმა „ჯიშიან ნაციონალისტების" შესახებ; რა ღირებულება ექნება ჩვენი საკითხისათვის „ჯიშიანი" ნაციონალისტები „უჯიშო" ინტერნაციონალისტად რომ შევცვალოთ. ცხადია, არაფითარი.

შ. ნ.

# „პოეზიის დღე"

**მწერალთა კავშირის საბჭოს გამოცემა.**

თომას კარლეილი იტყოდა ხოლმე: მწერალი უძლიერესი ადამიანია ქვეყანაზე, რადგან იგი იმორჩილებს თავის საუკუნის, თავის დროის და თავის სიკვდილის გადაღმა მდგარ თაობებსა და ადამიანებს. ასე ძლიერია მწერალი, მომავალში იგი ყველაზე ძლიერი რჩება, რადგან თავისი იარაღის სიტყვის წყალობით მას დიდი გავლენა აქვს ადამიანებზე.

მაგრამ რა ბედია ეს ძლიერი იარაღი მწერლისა, თუ იგი ამ სიტყვის მახვილს სწორედ ვერ მიმართავს და მარჯვედ ვერ მოიქნევს, თუ მას არ ემარჯვება „ხელმარჯვედ ქნევა ჩოგნისა". მაშინ მისი იარაღი—სიტყვა ქარქაშში ჩაგებული ხმალი დარჩება, ხოლო ქარქაშში ჩაგებული მახვილი ხან და ხან უფრო ჩლუნგია ვიდრე მეცხვარის უნიჟოდ მოჩორკნილი კომბალი. ჩემს წინ სდევს მწერალთა საბჭოსაგან 7 მაისს გამოცემული გაზეთი „პოეზიის დღე". მე არ შევეხები იმ ბელლეტრისტულ მასალას რომელიც მეორე, მესამე და მეოთხე გვერდზეა მოთავსებული. სიტყვა კაზმული და სიტყვა წყობილი ხელოვნების ნიმუშები მინდა განზე დავტოვო და გავსინჯო მხოლოდ იდეოლოგიური მხარე ამ გაზეთისა. აქ არის მოწინავე, არის მეორე და მესამე წერილი რომელნიც ეხებიან იმ ვითარებას, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით ჩვენ, როგორც ქართველები და როგორც მსოფლიოს მოქალაქენი.

დღეს მთელი ქართული აზროვნება ერთგვარ ბლოკადას განიცდის. უნდა გვერწმუნა, რომ ის ქართველი მწერლები, რომელნიც ასეთ დროს კისრულობენ ხმის ამოღებას, როგორც საუკეთესო ოსტატნი სიტყვისა, ამ ინტელექტუალურ ბლოკადას გაარღვევდნენ.

რამდენადაც მწერალი ერის ინტელექტის და მსოფლიო გრძნობის გამომხატველია, მან უცილოდ უნდა იტვირთოს ჯვარი და სიმძიმე გამოთქმისა, როცა ყველას პირზე დუმილის რიდე და კლიტე ადევს. ამაოდ კი არ ჩაუბარებია სიცოცხლისა და სიკვდილის ღმერთს მწერლისათვის, ადამიანის მეტყველობის განძინის იდუმალი გასაღები.

„პოეზიის დღე" არამც თუ ვერ ხსნის ამ ინტელექტუალურ ბლოკადას, იგი აბნელებს კიდევაც მკითხველის წარმოდგენას დღევანდელ ქართულ სინამდვილეზე.

ტ. ტაბიძე შარშანდელ ამბებს უბრუნდება და რაკი წრევანდელ ამბებში ვერ გარკვეულა, შარშანდელი პოეზიის დღის მეთაურით გვიმასპინძლდება.

„ამ ერთი წლის განმავლობაში ქვეყნისთვის არაფერი არ გამოცვლილა." ამბობს მეთაურის ავტორი. რა უნდა მოითხოვოს ამ სიტყვების ავტორს? ან რომელი მკითხველი დაუჯერებს მას რომ „ამ ერთი წლის განმავლობაში ქვეყნისათვის არაფერი გამოცვლილა"?

ნუ თუ შარშანდელს შემდეგ ამას ფიქრობდით ბ. ტიციან? თქვენ და თქვენ ჯგუფს ხომ მუდამ ახალის თქმის საკმაოდ დიდი პრეტენზიები ახასიათებდა?

წარსულში მთელი თქვენი ჯგუფის დეკლარაციები, სიტყვები და ლექსები ინდივიდუალურ კულტურის აპოლოგია იყო და როგორ მოხდა, რომ ახლა ერთბაშად „პროლეტკულტებზე"—პროლეტარიატის კულტურაზე ჰქადაგებთ?

ამ საკითხში მე არ გაგიმეორებ იმას, რაც ილია ჭავჭავაძეს და ჟორჟაძეს არა ერთხელ დაუმტკიცებია ნ. ჟ—სთვის, სახელდობრ საქართველოში პროლეტარიატი ჯერ არ არსებობს ან მას და მის კულტურაზე ხომ სულ ზედმეტია ლაპარაკი.

მეთაურის ბოლოში ავტორი დაასკვნის „ქართული პოეზია გააგრძელებს ამ ტრადიციას".

რომელი ტრადიცია ახასიათებდა ქართულ პოეზიასა და მწერლობას?

„ჩვენ მივესალმებით მთელი ქვეყნის პოეტებს" სწერს ტ. ტ—ძე. ეს სიტყვა სრული უაზრობაა, რას ნიშნავს მცნება „მთელი ქვეყნის პოეტები", ან როგორ უნდა მიესალმონ ქართველი პოეტები მათ? ნუ თუ ამ მისალმების მეტი არაფერი აქვს დღეს ქართველ პოეტების კოლექტივს სათქმელი, თუ იგი ხმას მიაწვდის „მთელი ქვეყნის პოეტებს"?

მე კი ვფიქრობ რომ ქართველი მწერლების ტრადიცია ასეთი ამბიციებით არასოდეს არ დაშრეტილა, ქართველი პოეტების ტრადიცია იყო, მამაკაცური ხმისყვან თქმა, საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის დროს.

ამ ტრადიციის გამო დ. ყიფიანს ლომით თავი გაუტეხეს, ამ ტრადიციის შენახვას შეეწირა არა ერთი ქართველი მწერალი.

ამ ტრადიციას შერჩება მრავალი ახალგაზრდა ქართველი მწერალი, მე ამის იმედი მაქვს.

ხოლო ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე ქედის მოხრა ქართველი პოეტის ტრადიცია არასოდეს არ ყოფილა.

თუ ძველი ქართველები მახვილს გულში ატაკებდნენ ქართლის მტერს, ქართველ მწერალს სჩვევია შხამიანი სიტყვის გულში ტყორცნა საქართველოს მტრებისადმი. უფრო მეტი მოეთხოვება მეორე მეთაურის ავტორს გრ. რობაქიძეს.

მას ერთ დროს საკმაოდ ახალი იდეები და სიტყვები ჩამოყვა უცხოეთიდან, მაგრამ გოეთე იტყოდა: ყველაფერი მასალის მონელებაზე ჰკიდია.

გრ. რ—ძის პირით კარგა ხანია საქართველოში გველაპარაკებოდნენ: ნიცშე, ვლად. სოლოვიოვი, მერეჟკოვსკი, ვაინინგერი, ბალმონტი, მაგრამ გრ. რობაქიძემ მათი იდეები ვერ „მოინელა", მიტომაც მისი იდეოლოგია მუდამ ლოღიკური salto mortales განიცდიდა.

გრ. რ—ძე მწერალი, დღეს როგორც სჩანს იდეურ ჩიხამდის მისულა, იგი ქართულ სინამდვილეში სავსებით ვერ ერკვევა, ვერც მსოფლიოს დღევანდელ ვითარებაზე გვეუბნება იგი რამეს თავის წერილში „რევოლიუცია დ პოეზია".

„სამყაროს ვითარება ცვალებაა შიგნით გაძიზნული".

ეს დებულება უაზრობაა. ვთქვათ ჩვენ შევდივართ „კოსმიურ რევოლიუციის ზონაში" და საქართველოს პოეზიაში გრ. რობაქიძე ამზადებს ნიადაგს ამ კოსმიურ ხელმეორედ ქმნისთვის? რომელი რევოლიუცია მოხდა ჩვენს სინამდვილეში, ამ მოკლე ხანში?

თუ ყველაფერი ის რაც მოხდა, რევოლიუცია იყო, ამ რევოლიუციაზე ქართველი კომუნისტები 2 წლის წინად სწერდნენ, სწერდნენ მაშინ, როცა ასეთი ქადაგებისთვის ადვილად მოხვდებოდა კაცი მეტეხში; თუ გრ. რობაქიძე გულწრფელი მწერალია, სად იყო აქამდის ეს მოციქული „კოსმიური რევოლიუციის?"

„დეტალები გასაგებია ისედაც" უმატებს ავტორი თავის წერილს.

ჰაი ჰაი, რომ დეტალები ისედაც გასაგებია... მთელი წერილი უღლოდიკო აზრების რკალია. ზოგიერთ მკითხველს ეს ალბად უფრო „ფილოსოფიად" მოეჩვენება.

აქ ვერაფერს გვეუბნება გრ. რ—ძე როგორც ქართველი მწერალი, როგორც მსოფლიოს გულწრფელი მოქალაქე.

გ. რობაქიძეს არ აკლია პრეტენზია, რომ ის ვითომ გზას უჩვენებდეს და წინ უძღოდეს მთელ ქართველ ახალგაზრდობას თუ არა, ახალგაზრდობის ერთ ჯგუფს მაინც. ნუ თუ ეს არის თქვენი ახალი სიტყვა?

მესამე წერილი გაზეთ „პოეზიის დღისა" ვინმე „პარს" ეკუთვნის.

მე მგონია, რომ ვინც [illegible] სიტყვების—თქმას—უთქმელობას არჩევს, ან [illegible] ხით მაინც შიოს ართქმევს, მას [illegible] ტურული [illegible] ნატამალი კიდევ შერჩენია.

წერილში „პროლეტარული ხელოვნება" ა. ბოგდანოვის საკმაოდ დაძველებული კულტურ-ფილოსოფიური აზრებია გადმოცემული.

პროლეტარული კულტურა, პროლეტარული ხელოვნება!

ერთი ვკითხოთ ბ. ბოგდანოვს და მის ქართველ ინტერპრეტატორს, როგორ შეიძლება პრობლემის ამ რიგად დაყენება? კულტურა და ხელოვნება არასოდეს, არც ერთ ერის წრეში, არც ერთ დროში და საუკუნეში არ ყოფილა არც პროლეტარული და არც ბურჟუაზიული.

ყოფილა ხანა, ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში, როცა ხელოვნურ ღირებულებებს უმეტესად ბერები, აზნაურები და თავადები ჰქმნიდნენ, მაგრამ ასეთი ხელოვნება არც კლერიკალური და არც არისტოკრატიული არ გამხდარა.

კულტურას, ხელოვნებას ყოველთვის ჰქმნიდა განსაზღვრული ნაციონალური ხეეცია, განსაზღვრული ეროვნული პიროვნება როგორც მთელი კულტურის, ისე ხელოვნების ღირებულობათა შექმნაში მუდამ და ყოველთვის მონაწილეობდა მთელი ერი „ან მასს".

შეიძლება ამა თუ იმ ეპოქაში, ამა თუ იმ წოდების ან კლასის გავლენა სჭარბობდეს პოლიტიკურად და სოციალურად, მაგრამ ეს ხელს არ უშლის. ღირებულებათა საერთო კალოზე ყოველმა კლასმა, ყოველმა წოდებამ თავ-თავისი წვლილი მიიტანოს.

ერთი რომელიმე კლასი ან წოდება სეპარატ კულტურას ვერც მოიგონებს და ვერც შექმნის.

ამ გაზეთის რედაქცია, როგორც ზედწარწერიდან სჩანს ქართველ მწერალთა საბჭოს ეკისრება, მიკვირს რომ ასეთი იდეურ ქაოსში თვით მწერალთა საბჭო ვერ გარკვეულა?

ნუ თუ ასეთი „ახალი იდეებით" გინდათ ბატონებო მომავალ თაობებს ელაპარაკოთ?

გაზეთის მეორე გვერდზე ვახტანგ კოტეტიშვილის „ქართული ხელოვნების"

# გასაყიდი ხალხი*)

ბათომის მუსლიმანების მოსპობისათვის განმათავისუფლებელ კომიტეტის და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ძირითადი კანონები. 5 იანვრის 1921 წ. თარიღით გაზეთ „სამუსლიმანო-საქართველოს" № 496 ნომრის ფურცელში გამოცხადებული და 4—5 იანვრის ბათომში განმათავისუფლებელ კომიტეტის მიერ ბათომისა და მისი ოლქის ავტონომიის ფორმის შესახებ შედგენილი და მიღებული ძირითადი მუხლები უსარჩევად მოგვყავს შემდეგი:

თ ა ვ ი 1.

კონსტიტუციის შინაარსი და სამუსლიმანო საქართველოს კომპეტენცია.

მუხლი 1. სამუსლიმანო საქართველო შედის დემოკრატიულ რესპუბლიკის შემადგენლობაში და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ფართო ავტონომიურ მართვა-გამგეობით.

მუხლი 2. როგორც კანონმდებლობის სფეროში, ისე მართვა-გამგეობაში, სამუსლიმანო საქართველო, როგორც ავტონომიური ერთეული, დამოუკიდებელია იმდენად, რამდენადაც ეს დამოუკიდებლობა ამ დებულებით არ არის შეზღუდული.

მუხლი 3. სამუსლიმანო საქართველოს დამოუკიდებელ გამგეობაში შედის:

ა) შერიეთი.

ბ) სასამართლო.

გ) სახალხო განათლება.

დ) ადმინისტრაცია.

ე) მიწის საკითხი და კულტურული საზოგადოებანი სამუსლიმანო საქართველოში.

ვ) ადგილობრივ თვითმმართველობათა, საქალაქო და სათემო ორგანოები.

ზ) საქალაქო და სამეურნეო ჯანმრთელობანი.

ჱ) სახალხო ლეგიონი.

თ) სურსათი.

ი) სამუსლიმანო საქართველოს გადასახადების საკითხი.

ია) ვაჭრობა-მრეწველობა.

იბ) სამუსლიმანო საქართველოს ნაწარმოების მონოპოლია.

იგ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე და ბუნებრივი სიმდიდრე.

იდ) ადგილობრივი ფინანსები: ბიუჯეტი, კასა, გადასახადები, სესხი და

იე) ადგილობრივი გზები.

მუხლი 4. სამუსლიმანო საქართველოსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეებით, რომელნიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის გამგებლობაში შედის, ითვლება:

ა) საგარეო პოლიტიკა.

ბ) სამხედრო საკითხი:

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საომარ განწყობილებაშია, სამუსლიმანო საქართველოს ლეგიონი (იხ. § 16) ექვემდებარება საქართველოს ცენტრალ მთავრობას.

გ) ფულისა და საფინანსო სისტემა.

დ) საბაჟო სისტემა.

ე) ფოსტა-ტელეგრაფი.

ვ) სახელმწიფო რკინის გზების და შარა გზები.

ზ) ყველა ბუნებრივი სიმდიდრე და წყ[illegible] სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა.

შენიშვნა: ყოველგვარი შემოსავალი და გასავალი სამუსლიმანო საქართველოს დაწესებულებათა, რომელნიც საზოგადო საქმეებს განაგებენ, (მუხ. 4), შეთანხმებით უნდა განაწილებული იქნეს სამუსლიმანო საქართველოს და საქართველოს რესპუბლიკის შორის.

თავი მეორე.

საზოგადო და ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოები.

მუხლი 5. საქართველოს ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოთ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს გარდა, ითვლება სახალხო დამოუკიდებელი მეჯლისი.

მუხლი 6. სამუსლიმანო საქართველოს სახალხო მეჯლისი სცემს კანონებს ყველა იმ კითხვების შესახებ, რომელნიც არსებითად წინა მდებარე დებულებათა ძალით მის კომპეტენციაში შედის.

მუხლი 7. მეჯლისის მიერ გამოცემული კანონების და დადგენილებათა დადასტურების წესს თვით მეჯლისი ადგენს,

მუხლი 8. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატების არჩევნების დროს სამუსლიმანო საქართველო წარმოადგენს კერძო საამომრჩევლო ოლქს და პროპორციულ წარმომადგენლობით სარგებლობს საქართველოს ცენტრალ პარლამენტში.

მუხლი 9. როგორც მეჯლისის წევრები, ისე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში წარსაგზავნი სამუსლიმანო საქართველოს დეპუტატები ამორჩეულ უნდა იქნენ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი დაფარულის ხმის მიცემით, მათ პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის თანახმად.

მუხლი 10. სახალხო მეჯლისის მოწვევის და სესიის ვადა, აგრეთვე მის დეპუტატთა რაოდენობა დადგენილი იქნეს თვით მეჯლისის მიერ.

მუხლი 11. რეგლამენტი რომლითაც მეჯლისი იხელმძღვანელებს მუშაობის დროს მის მიერვე იქნება დადასტურებული.

მუხლი 12. სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი სარგებლობს კანონმდებლობის ინიციატივის უფლებით საზოგადო სახელმწიფოებრივ ფარგლებში.

მუხლი 13. სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი ხელშეუხებელია: მხოლოდ მეჯლისვე შეუძლია თავის გაშვება და ახალ არჩევნების დანიშვნა. აგრეთვე მისი წევრებიც ხელშეუხებელნი არიან მოვალეობის ასრულების დროს წარმოთქმულ სიტყვებისთვის კანონის წინაშე პასუხს არ აგებენ.

თავი მესამე.

აღმასრულებელი ორგანო.

მუხლი 14. საზოგადო საგანგებო საქმეების გამძღოლი, რომელნიც სამუსლიმანო საქართველოს კომპეტენციაში შედის, თანახმად ამა დებულებისა, ეკისრება სამუსლიმანო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და შერიეთის მთავარ ხელმძღვანელს ირჩევს მეჯლისი, ხოლო მის წევრებს მეჯლისის თანხმობით ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 15. მმართველ საბჭოს წევრები, აგრეთვე სამუსლიმანო საქართველოს მთავრობა თავიანთ მოქმედების გამო პასუხის მგებელნი არიან მეჯლისის წინაშე.

მუხლი 16. სამშობლოს ინტერესების დასაცავად გარეშე თუ შინაგან მტრისაგან, სამუსლიმანო საქართველოში ნებაყოფლობით სდგება მუდმივი სახალხო ლეგიონი, ხსენებულ ლეგიონის რიცხვისა და ორგანიზაციის განსაზღვრა ეკითხება საგანგებო კომისიას, რომელსაც მეჯლისი ამოირჩევს.

მუხლი 17. აღმასრულებელ ხელის უფლების წარმომადგენლებს და სამუსლიმანო საქართველოს მთავრობას უფლება ენიჭებათ ადგილობრივ საკანონმდებლო ინიციატივისა.

მუხლი 18. ფუნქციათა დეტალები, როგორც სათანამდებო პირთათვის ისე სამუსლიმანო საქართველოს დაწესებულებათა გამგეობისათვის, მუშავდება მის აღმასრულებელ ორგანოს მიერ და დასამტკიცებლად მეჯლისს წარედგინება.

თავი მეოთხე.

საზოგადო დებულებანი

მუხლი 19. ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ თანასწორი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებანი და კანონის წინაშე თანასწორობა.

მუხლი 20. ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოში დაცული იქნეს: სარწმუნოების სიტყვის, პრესის, კრების და კავშირების თავისუფლება, ბინის და პიროვნების ხელშეუხებლობასთან ერთად.

მუხლი 21. სამუსლიმანო საქართველოს სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა. ყოველგვარი ოფიციალური მიწერ-მოწერა სწარმოებს ქართულად, ხოლო შერიეთის საქმენი და დადგენილებანი შეიძლება სწარმოებდეს არაბულს და თურქულს ენაზე.

მუხლი 22. სამუსლიმანო საქართველოს ცენტრად ითვლება ბათომი, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა მისი მთავარი დაწესებულებანი.

მუხლი 23. სამუსლიმანო საქართველოს საზღვრების გამიჯვნა ეკისრება კომისიას რომელიც შესდგება მეჯლისის და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან

მუხ. 24. მეჯლისის წევრებისა და საქართველოს საკანონმდებლო ცენტრალ ორგანოს დეპუტატების არჩევნებს ხელმძღვანელობს მეჯლისის მიერ არჩეული კომისია, ამავე კომისიას ევალება არჩევნების სისწორით შემოწმება და დამტკიცება.

მუხ. 25. ამა დებულებათ, შესაცვლელად და დასამტკიცებლად საჭიროა სხდომას დაესწროს მეჯლისის წევრთა ორი მესამედი მაინც, ხოლო მეჯლისის გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად, თუ სხდომაზე დამსწრე წევრთა ორი მესამედი იმას მოიწონებს.

მუხლი 26. ამ დებულებათა დამტკიცების შემდეგ სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისისა და საქართველოს რესპუბლიკის მიერ ყველა ეს დებულებანი შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

*) ტრაპიზონში „ყურ-მეტბუვაში", ესე იგი თურქულ სტამბაში დაიბეჭდა „გასაყიდი ხალხი"ს სათაურით ბროშურა. ვბეჭდავთ ამ მეტად საყურადღებო ნიმუშს ჩვენი მტრების ბრძოლისას სრულიად უცვლელად. რედ.

გამარჯვება“ იქცევს ჩვენს ყურადღებას თავისი უებარი პარადოქსალობით. მას საერთოდ ძლიერ უყვარს პარადოქსები, მაგრამ ეს ფრიად მოლიპული გზაა ახალგაზრდა მწერლისათვის, განსაკუთრებით საფრთხილოა პარადოქსალობა ისეთ ელემენტში, როცა საკითხი საკმაოდ რთულ მცნებებსა და იდეებს ეხება.

ყველაზე უწინ ავტორის მეგობრულად უნდა შევნიშნო, რომ არ შეიძლება ისეთი რთული მცნებათა კატეგორიების ერთი მეორისადმი დაპირდაპირება, როგორიცაა აზია და ევროპა. „გაიმარჯვებს ეროვნული შემოქმედება, საქართველოს ბელადები აზიაში დაბრუნდება“.

რას ამბობს სიტყვა აზია თავის თავად? იმდენსავე, რამდენსაც სიტყვა აფრიკა. ორივე გეოგრაფიული ტერმინებია და სხვა არაფერი. სიტყვა აზია ისეთი ვრცელი მცნების შემცველია რომ მას არავითარი იდეური შინაარსი არა აქვს.

აზია, თუ თქვენ გინდათ კულტურულ სამყაროს გამომხატველ მცნებათ იხმაროთ, იგი უაზრობაა, რადგანაც აზიაში დასახლებულ ერების კულტურანი არამც და არამც ჰომოლოგიური არ არიან.

შემდეგ ავტორი მოსთქვამს: „ევროპით ვეზარ ხოშებაზე“.

მთელი ქართველი ინტელიგენცია გასული საუკუნის პირველი ხევრიდან თერგდალეულებმა გაარუსეს. თვით ისეთი დიდი ქართველი როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე, ნამდვილი რუსის მოაზროვნის ტიპი იყო. თერგდალეულებმა რუსული იდეების „მონელებაც“ ვერ მოახერხეს.

საქმე ის კი არაა საიდან აიღებს ადამიანი თავის იდეებს, არამედ საქმე ამ იდეების სრულ მონელებაშია.

რაც შეეხება ევროპით შეზარხოშებას, „ევროპით“ ჯერ არავინ დამთვრალა ჩვენში, წინააღმდეგ მე მეშინია რომ ქართველობა ჯერ კიდევ ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების რუსების პ(ს)იხიკით დახასიათდება.

ყოველი ერის მოწინავე თაობა ითვისებს მეორე ან მესამე ერის ახალსა თუ ძველ იდეებს. ჩვენ დღეს მსოფლიო კაპიტალიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ და ადვილად გასაგებია რომ ერები სესხულობენ იდეებს ერთი მეორისაგან.

ე. „სესხის აღება“ კი არაა საშიში, არამედ ამ სესხის მოხმარაშია საქმე.

ყოველი ერის ინტელექტუალურად დამწიფებული და დინჯი თაობა ნასესხებს იღებს თავის ეროვნული ტემპერამენტის მიხედვით გადაქმნის, გადახარშავს და თავის ბუნებრივ სინამდვილეს მოახმარს. ამ პრინციპზე ემყარება მთელი დამიანთა მოდგმის კულტურული აღებ-მიცემობა და ყოველი დაწინაურებული ერის კულტურ-პოლიტიკა ამ აქეთკენ უნდა მოუწოდოთ ჩვენ, ქართულ მწერლობას და ქართველ ახალგაზრდობას.

კონსტ. გამსახურდია.

## პარტიაში

**დღეს, 11 მაისს „სოციალისტ-ფედერალისტის“ რედაქციაში დანიშნულია დრ. მთავარ კომიტეტის და ტფილისის საპროფესიო და უბნების წარმომადგენლების შეერთებული კრება. სხდომა გაიმართება სრულს 5 საათზე.**

**კრებას უეჭველად უნდა დაესწრონ პროვინციიდან ჩამოსული ამხანაგები. დღიური წესრიგი—კონფერენციის მოწვევა და სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები.**

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

— **მისალმება წითელ არმიისა პროფ. კავშირების საბჭოსადმი.** პროფესიონალურ საბჭოს სახელობაზე, წითელი არმიის უფროსის ხელის მოწერით მიღებულია შემდეგი დეპეშა.

„საერთაშორისო მუშათა კლასის, ერთგულ დამცველად მდგარი, დარაჯი. გლეხთა წითელი არმია, უგზავნის 1 მაისის პროლეტარულ დღესასწაული გამო თავის ძმურ სალამს, თბილისის მუშებს, მშრომელი არმიის ჯარის კაცებს.

— **ბათუმის მუშათა შორის.** თამბაქოს ქარხნების, კოლოფების სახელოსნოსი და დამოენის არტელის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ, ქ. ბათომში, გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც კრება ერთხმივ გამოსთქვამს, მთლიან ერთსულად გაერთიანების და ყოველი ძალღონით საბჭოთა ხელისუფლების, ამ მშრომელთა ინტერესების ერთად ერთ გამომსახველს და მფარველის—დაცვის სურვილს. ყველა ქარხნებსა და სახელოსნოებში ამორჩეულია ქარხნების და ადგილობრივი კომიტეტები.

— **ქალაქის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების მოღვაწეობა.** სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება, ქალაქის რევკომში წარმოდგენილ მოხსენებაში, ამბობს, რომ განყოფილება განაგრძობს მუშაობას. რომელიც მიმართულია სოციალურ უზრუნველყოფის ყველა დაწესებულებათა სრულ ცენტრალიზაციისაკენ. კერძოთ, განყოფილება აღნიშნავს, რომ ცენტრალიზაციის მიზნით, მან მოახდინა მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოების ლიკვიდაცია და საზოგადოების აპარატი გამოიყენა თათრის მოედანზედ სოც. უზრუნველყოფის პუნქტის მოსაწყობათ; მოახდინა აგრეთვე ლიკვიდაცია კავკასიის სამხედრო ოლქის ოფიცერთა ურთიერთ დახმარების ამხანაგობისა, ხოლო ამხანაგობის წევრთა უზრუნველყოფა განყოფილებამ თვითონ იკისრა. ამ ჟამად განყოფილება აწარმოებს ებრაელთა საქველმოქმედო საზოგადოების თავშესაფარის ლიკვიდაციას. ამის გარდა დაარსებულია საპენსიო და დახმარების განყოფილების სამი პუნქტი: № 1 ავლაბარში, № 2 თათრის მოედანზედ და № 3 კუკის რაიონში ეხლა ეწყობა მე 4 პუნქტი ნაძალადევში.

მოხსენებაში სხვათა შორის, მოყვანილია ცნობები გაცემულ ხალილებისა პენსიებისა და დახმარებისა. ამ ერთ უკანასკნელი კვირის განმავლობაში გაცემულია სადილი 1999 კაცამდე; საპყართა (ინვალიდების) სახლში მიღებულია 15 კაცი; საბავშო სახლში—14 გაცემულია პენსია 332 კაცზედ—სულ 1140,970 მანეთი. ერთდროული დახმარება—55 კაცზედ თანხა 540000 მანეთი. სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ მოაწყო პუნქტი. ქურით მათხოვრებისათვის და ამის გარდა შეუდგა ყველა მათხოვრების რეგისტრაციას.

— **გაცემული პურის რაოდენობა.** სულ 26 თებერვლიდან 25 აპრილამდე, ეს იგი ორ თვეში, გაცემულია 104,2:4 26 სამი მეოთ. გირვ. პური და დაწერილია 96.000-მდე ორდერი.

— **შაბათობა სამტრედიაში.** კომუნისტურ პარტიის წევრების და მათი კანდიდატების მიერ ქ. სამტრედიაში სადგურზე მოწყობილ იქმნა შაბათობა. დატვირთეს ათი პლატფორმა, გაზიდეს აუარებელი ნაგავი რკინის გზის რაიონიდან. შაბათობას დაესწრო 73 კომუნისტი მუშაობა გაგრძელდა 3 ნახ. საათს.

— **თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა კავშირში.** სრულიად რუსეთის პროფკავშირების ყრილობაზე დასასწრებლად არჩეულია ამხ. არნაუტოვი. თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა კავშირის უადგილო მუშა-მოსამსახურეების კრებამ დაადგინა: რადგანაც ხშირია ხოლმე უმუშევართა მიერ უარის თქმა ამა თუ იმ სამუშაოზე, კავშირიდან გამორიცხულ იქმნენ ხოლმე ის უმუშევარნი, რომელნიც უარს ეტყვიან მიცემულ სამუშაოზე.

— **მონადირეთა კავშირი საქართველოში.** საქართველოს მონადირეთა კავშირში შევიდა 700 ზე მეტი წევრი. კავშირმა უნდა შეასრულოს დიდი როლი საქართველოში მონადირეობის მოწესრიგების საქმეში, მონადირეობის ახალ კანონისა და ახალ წესების შექმნაში, ნადირის დაცვასა და გამრავლებაში და სხვა კავშირი აპირებს მონადირის დღეების გამართვას.

— **სამშენებლო მუშების კავშირში.** 15 მაისს მოწვეულ იქნება ქალ. ტფილისის სამშენებლო მუშების კონფერენცია.

— **პროფესიონალური ცხოვრება.** 10 მაისს ნაშუადღევის 4 საათზე მელითონეთა კავშირი იწვევს ყველა ქარხნების კომიტეტების და რწმუნებულების კონფერენციას. კრება მოხდება შრომის სასახლეში, მე 5 სართული, სხდომათა დარბაზი.

— **ქართული პოეზიის დღე.** ქართველ მწერალთა კავშირმა ზეიმით იდღესასწაულა სახელმწიფო ოპერის თეატრში 7 მაისს თავისი ტრადიციული „პოეზიის დღე“ დადგმულ იქმნა ნაწყვეტები „თქმული ზა შოთა რუსთაველზე“-დან და „ლოტბარიდან“ წარმოდგენი. შემდეგ შესდგა საზეიმო ყრილობა ქართველ მწერლების და პოეტებისა შინაარსიან, მოხსენებით პოეზიის და ხელოვნების მნიშვნელობის შესახებ გამოვიდა გრ. რობაქიძე. მოხსენების შემდეგ გამოვიდნენ ქართველი მწერლები თავიანთ ნაწარმოებებით. თეატრის ფოიეში უფასოდ რიგდებოდა გაზეთი „პოეზიის დღე“.

— **მელითონეთა კავშირში.** მაისის 5 არსენალში მოხდა მრავალრიცხოვანი საზოგადო კრება, რომლის დროსაც ამხ. როხლინმა წაიკითხა მოხსენება საბჭოთა ხელისუფლების სატარიფო პოლიტიკის შესახებ და ამხ. კილოსანიძემ —საბჭოთა ხელისუფლების მიზნზე სახალხო განათლების საქმეში. მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმებიან და იწონებენ ტარიფის დარგში მიღებულ ღონისძიებათ. და ჰპირდებიან საბჭოთა ხელისუფლებას ყოველნაირ დახმარებას ქვეყნის საწარმოვო ძალების აღდგენისა და განვითარების საქმეში, კრებამ გამოსთქვა აგრეთვე გულმხურვალე სურვილი დახმარება გაუწიოს კავშირს კულტურულ განყოფილების მუშაობაში.

ჟალვა მეხუთე.

დასკვნა

სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის წევრები ბრწყინვალე დღთქმას სდებენ საქართველოს დემოკრატიულ და სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის კონსტიტუციის ერთგულობაზე.

ყველა ეს მუხლები სათითაოდ უნდა იქნეს გარჩეული: პირველ მუხლში აკითხულობთ „სამუსლიმანო საქართველო მთელის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შემადგენლობაში ნაწილს წარმოადგენს ფართო ავტონომიურ გამგეობით.“ სამუსლიმანო საქართველოს სახელწოდება განხორციელებულ ავტონომიური მთავრობის განმასახიერებელია ხალხის რწმენით კი მუსლიმანობა და მისეთი მუსლიმანი საზოგადოება, როგორც შერიეთი ამოწმებს, არ შეიძლება შევიდეს ქრისტიან მთავრობის მზრუნველობის და ოპეკის ქვეშ. მაგრამ თუ მსგავსი რამ მოხდება ხალხის სურვილი კი არა, არამედ იძულებით და ძალდატანებით იქნება, როგორც ეს მოხდა მაგალითად ეგვიპტეში, ალჟირში ბოსნია-ჰერცოგინაში და სხვა. იძულებით და ძალდატანებით რომელიმე ერის ანუ საზოგადოების დაპყრობა და დამონება, თუნდაც ეს თანამედროვე პრინციპებზე იყოს დამყარებული არ ეგების შერიეთს, თვით მუსლიმანთა მცხოვრებლებიც ასეთ დებულებას ყალბად სთვლიან და ემორჩილებიან.

მეორე და მესამე მუხლებიც თუ რამდენათ მომატყუებელ დასკვნებს აძლევენ, რომ უფრო სწორეთ გავიგოთ, საჭიროა მათი წაკითხვა და დაპირისპირება. მეორე მუხლში, მაგალითად ნათქვამია რომ კანონმდებლობის სფეროში სამუსლიმანო საქართველო დამოუკიდებელიაო. სამუსლიმანო საქართველოს ამ საგნებში ექნება ეს დამოუკიდებლობა, ამის განმარტებას ვკითხულობთ მესამე მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ ავტონომიურ მთავრობას კანონის შედგენის უფლება არ ექნებაო. აქ სრული წინააღმდეგობა ერთი მეორისა, მესამე მუხლი სრულიად ფარავს მეორე მუხლისა. ეს ავტონომია კი არაა არამედ ცენტრზედ დამოკიდებულებას ნიშნავს რაღაცა ერობის მინაგვარ უფლებით. ზედმეტად მეცხრამეტე მუხლში სახელმწიფო ენათ არის აღიარებული ქართული ენა. მაშასადამე, მოხელენი ქართველები იქნებიან, სამართველოსაც ისინი განაგებენ და გარეგნულად ავტონომიური უფლებით აღჭურვილი მუსლიმანი ხალხი პირდაპირ საქართველოს მიერ მართველობის ქვეშ უნდა იქნეს მიცემული ცხადზე-უცხადესია.

როცა მესამე მუხლს კითხულობ, ასე გონია, რომ მუსლიმანი საზოგადოება თითქმის დამოუკიდებელია და თავისი ბატონ-პატრონია, მეთოთხმეტე მუხლში ვითომ და დამოუკიდებლობა მისი ცნობილია, მაგრამ მეხუთე მუხლი იგი საქართველოს საერთო სამართველოს ემორჩილება, თუ კი ჯეროვანათ მივაქცევთ ყურადღებას, დაინახავთ, რომ მეხუთე მუხლი ისე მრუდლავს და სპობს მესამე მუხლს, რომ მუსლიმანების ხელში ეს კანონი მხოლოდ უბრალო დაწერილ ქაღალდის მეტს სხვას არას წარმოადგენს. განვიხილოთ ნაწილნაწილად მესამე მუხლი, შერიეთის საქმეთა მმართველობას სამუსლიმანო საქართველოს ანიჭებს. ეს ხომ დიდი წყალობაა რომ აქნებოდა რომ ესეც ტფილისის კათალიკოზისა ანუ კარდინალის მმართველობაში გადაეცათ. ამ მუხლის მნიშვნელობის უფრო ნათლად განმარტებისათვის მეთოთხმეტე მუხლსაც თვალი გადავავლოთ: აღნიშნულ მუხლში აღმასრულებელ ორგანოს არჩევის დროს შერიეთის საქმეთა მმართველის არჩევაც მიღებულია შერიეთის საქმეთა მმართველის თავმჯდომარე მხოლოდ ხელიფესთან დამოკიდებულებით თავის მოვალეობას უნდა ასრულებდეს ხელიფეს ანუ მის ვექილი შეიხ-ულ-ისლამის მიერ მისი თავდებობას დამტკიცება და ხელში მანდატის მიცემა არის საჭირო. შედგენილ კანონპროექტის მუხლებში რაკი ამ მხრის აღნიშვნა არ არის შეტანილი შერიეთის მთავარი მმართველის თანამდებობის პირი საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარემ უნდა დაამტკიცოს, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება შერიეთის განწესებულებასთან. ასეთი პირი კი ღირსი არ იქნება შერიეთის თავმჯდომარის როლი და მისი საქმეები აწარმოვოს. გამოტანილი დადგენილებანი რ ე მ ფუჭი და ყალბია, ეს ცხადია და რაკი ყველა დადგენილება არ შეიძლება იქნეს წარმოდგენილი საზოგადოებისათვის შერიეთის საქმედ წარმოება უნდა შესწყდეს. ანუ დანგრეულ ურებივით უნდა ეთრიოს, ერთი სიტყვით მეს იქნება ჩვენი ქვეყნიდან შერიეთი აღგვა. აშკარაა, ამ მუხლით ყოველისფერი ისპობა, შერიეთის საქმეები რა და რა არის ეს გარკვეული არაა რადგან შერიეთის საქმეზე იქნება რამე თვითეულ მუსლიმანს თავისი სოციალურ კანონების და სარწმუნოების დასაყრდნობ საქმეებს იგულისხმებს. რაც შეეხება სარწმუნოების თავისუფლებას აქ ხუტბეს მრეკლის და იმამების თანამდებობის საკითხებთან ერთად ქორწინების და განქორწინების საქმეები, ანდერძი მემკვიდრეობის ვაკაფის და სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებიც ყველა შიგ შედის. სამუსულმანო საქართველოს ავტონომიური მთავრობა როცკი თვის კონსტიტუციას ადგენდა, რომელ სარწმუნოებას აღიარებდა. ამის ძირითად მუხლებში შეტანა საჭიროდ არ დაუნახავს სარწმუნოების და ხალხის მტრებს. ეგე იგი მეჯლისის მეთაურებს, მათგან მოტყუებულ ხალხის თუ არ ეშინიათ, უფალი და ყოვლად შემძლებელი ღმერთი შურს იძიებს,—ეს ავიწყდებათ აი იმ პირებს, რომლებსაც უნდათ გაგვყვნენ ანუ ვიწინამძღოლოთ. მათ კანონპროექტში რომელიც სარწმუნოება უნდა ვაღიაროთ, ამის შეტანაც კი საჭიროდ არ უცნიათ. ამ კანონპროექტის ძალით ჩვენ ურწმუნოებისაკენ მიგვათრევენ, როგორც საქმეთ, ისე სიტყვით უნდათ რომ ღვთის რისხვაში შეგვიყვანონ. ჩვენ ვშიშობთ, რომ დღევანდელი აზრების მადიში (შვილიშვილი) ხვალე იაკობი, იოსები უნდა გახდეს; თვალები გავახილოთ, ხვალ თვალდათვალ დავინახავთ რომ ჩვენ (მეჩეთებს) ხელს შეახებენ, პარასკევის ლოცვა უნდა დაგვიშალონ, კვირა დღეს სავაჭროები უნდა დაგვიხურონ, იმიტომ რომ შედგენილ ძირითად კანონპროექტში სარწმუნოების ხელშეუხებლობა არაა აღნიშნული.

(დასასრული იქნება)

# ᲛᲔᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

თანახმად მთავრობის დადგენილებისა იმ მეაბრეშუმეთ, რომელთაც წლის პარკის მოსავალი ჩააბარეს ქვემო აღნიშნულ ორგანიზაციებს და საიანადო ბარათებიც (კვიტანციები) ხელში აქვთ მიეცემათ სალი აბრეშუმის თესლი და დამატებითი ავანსის სახით სამიათასი მანეთი ფუთ ჩაბარებულ ნედლ პარკზე. თესლის მისაღებად აუცილებლად საჭიროა აპრილის დამლევამდე წარმოდგენილ იქნეს პარკის ჩაბარების ბარათები შემდეგ დაწესებულებებში. ტფილისი—სააბრეშუმო სადგურში (მუშტაიდი) თელავი—რევკომი (ამხან. საყვარელიძე და მაკარაშვილთან), ზესტაფონი—კოოპერატივთა კავშირში, ქუთაისი—სააბრეშუმო სადგურში (ბალის ქუჩა) ხონი—ადგილობრივ კოოპერატივში, ლანჩხუთი—კოოპერატივში, სამტრედიაში—კავშირ „კონა“ და ამხ. გ. სიხარულიძესთან, ვანი—რევკომი (ივ. კალანდაძესთან). ცაგერი (ლეჩხუმი)—რევკომი (იდ. წერეთელთან, წესი—(რაჭა) რევკომი (ამხ. ივ. ჭიჭინაძესთან), საჯავახო—კოოპერატივთა კავშირში, საჩხერე—კოოპერატივში, ჩოხატაური კოოპერატივთა კავშირში, ხიდისთავი—რევკომი, ოზურგეთი. კოოპერატივთა კავშირში, ნაგომარი—კოოპერატივში, ნატანები—კოოპერატივთა—კავშირში, სუფსა—კოოპერატივში (ამ. დოლიძესთან). ლანჩხუთში—კოოპერატივთა კავშირში, აბაშა (სამეგრელო)—კოოპერატივთა კავშირში, ბანძა—კოოპერატივში, ახალ-სენაკი—რევკომში. გრ. სალაყაიასთან), ხობი—კოოპერატივი, ზუგდიდი—რევკომში, და კოოპერატივთა კავშირში, ოქუმი ივ. გეგიასთან და ოჩემჩირე-დრანდაში სოხუმის კოოპერატივთა კავშირში.

მიწად მოქმედების კომისარიატის კოლეგიის წევრი ე გაწამე.

მეაბრეშუმეობის ინსპექტორი თ. ქუთათელაძე.

## ᲡᲝᲤᲠ. ᲒᲚᲐᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

**თხზულებანი ტ. II**

მოთავსებულია რომანი „უცნაური“, მოთხ. და პიესები, იყიდება წერა-კითხვის საზ. მაღაზიაში.

იქავე: მისი I ტომი, ნოტები ვაჟას გარდაცვალებაზე არაყიშვილისა და მუხჰალტერია.

920

## ᲠᲐᲓᲘᲝ

**პოლონური ტერორი.**

**ნაუენი მაისის 7,** ფერენბახმა გააკეთა რეიხსტაგში მოხსენება ზემო სილეზიაში ტერიტორიის შესახებ. ამანვე დაამზადა მოკავშირეებისადმი ნოტა, რომლითაც კანცლერი ეკითხება მოკავშირეებს—რა ზომებია მათ მიერ მიღებული ზემო სილეზიაში წესიერების აღსადგენად. ფერენბახი თავის ნოტით წინადადებას იძლევა გერმანელების მხრივ დახმარების აღმოჩენაზე. და აცხადებს, რომ გერმანიის რეიხსვერი გამოსვლისათვის მზათ არის.

**დახმარების თხოვნა.**

**ნაუენი მაისის 8.** მოკავშირეთა კომისიამ ოპელნეში მიმართა გერმანელებს დახმარების თხოვნით. გამოცხადებულია ჯარში გაწვევა გერმანელ ჯარის კაცებისა და ოფიცრებისა პოლიციის კადრის გაძლიერებისათვის.

**რუსეთ საფრანგეთის ვაჭრობა.**

**ბათომი, მაისის 6.** პარიზის კომუნისტურ გაზეთ „ჰუმანიტე“-ში მოთავსებულია წერილი, სადაც ამტკიცებენ, რომ რუსეთი კი არა საფრანგეთია კრიტიკულ მდგომარეობაში რუსეთის ნედლ მასალის უქონლობის გამო, რუსეთმა კი არა საფრანგეთმა უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი აღებ-მიცემობის გასაახლებლად.

**რუსეთის და საფრანგეთის შორის ვაჭრობის შესახებ.**

**ბათომი მაისის 6.** გაზეთი ირწმუნება, რომ თუ საფრანგეთის მთავრობა ამ მხრივ არას გააკეთებს, მაშინ კერძო კომერსანტები იძულებულნი იქნებიან თვითონ გააბან სავაჭრო კავშირი რუსეთთან. საფრანგეთის კონტრაგენტებს და რეპარაციონერებს ერთად ერთი იმედი აქვთ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენისა. მხოლოდ ამ გარემოებით არის შესაძლებელი ხსნა სრული გაკოტრებისაგან.

**ოსმალეთ-საბერძნეთის ომი.**

**ბათომი,** მაისის 6. ლონდონიდან რადიოთი იუწყებიან, ბრუსის ახლოს მოხდა უმნიშვნელო ბრძოლა ზარბაზნებით. ბრუსის ახლო მხვერვალ ნაწილებს შორის მოხდა შეტაკება. ბერძნები უკუ აგდეს.

**ინგლისელთა ჯაშუში.**

**ბათუმი.** მაისის 6. ანგორაში დაიწყო მუსტოფა-საგირის გასამართლება მას ინდოელთა დელეგატათ მოეჩვენა თავი, მაგრამ ინგლისელების ჯაშუში აღმოჩნდა. იგი გამოტყდა დანაშაულში. გამოირკვა, რომ ის ღებულობდა სათანადო დირექტივებს კერზონისაგან და მუდმივი კავშირი ჰქონია სტამბოლში მყოფ ინგლისის წარმომადგენელ ნილსანთან. ანტანტა ამ პროცესს დიდ მნიშვნელობას აძლევს სასამართლოს სხდომას შორის ესწრება ფრანგულ გაზეთების თანამშრომელი ქალი გაუსსი.

**გერმანიის ახალი მთავრობა.**

**ბერლინი.** მაისის 5 (რადიო) გერმანიის ახალი მთავრობა შესდგება ცენტრისა, დემოკრატების, და სახალხო პარტიელებისაგან. პირველმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ გერმანია ჩააყენა გამოუსვლელ მდგომარეობაში და ამით დაამტკიცა თავისი გაკოტრებულობა ბურჟუაზიულ პოლიტიკისა შექმნილ მდგომარეობიდან თავის დასახწევათ.

**შეთანხმება გერმანიასთან.**

**ბერლინი,** მაისის 6 (რადიო), დღეს გერმანიისა და რუსეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამხედრო ტყვეების გადასაცვლელად.

**აჯანყებულ ქურთთა მეთაურის დასჯა**

**ბათუმი.** მაისის 6, სივასში სამხედრო საველე სასამართლომ ჩამოახრჩობა გადაუწყვიტა აჯანყებულ ქურთების მეთაურს კოჩგირიძეს: გამარჯვნი სისრულეში მოიყვანეს.

**როგორ აზიარებენ ისინი გერმანიის მრეწველობას.**

**ნაუენი** მაისის 7. საქსონიის ქარხნების თოჯიველებმა კიდევ შეამცირეს ორის ხანშირის ოიყოლების შესრულების გეგმა, რომელიც გამოწვეულია ანტანტის მიუღებლობით და ზემო სილეზიაში ომხდარი ამბებით. ანტანტის წინადადება, რომლის ძალითაც უნდა გადაიხადონ გერმანიიდან გატანილ საქონელზე 26 პროც. ამჟამი მდგომარეობას უფრო ამწვავებს.

**გერმანიის კაბინეთის შედგენის გამო.**

**ნაუენი** მაისის 7. ცენტრი ურჩევს მაიერს უარი განაცხადოს კანცლერის თანამდებობაზე. ფიურენბახ, ორი მაერი დაიწყებს ამ რჩევას, პარტიათა შორის კომიტეტის თავლი ახალ კაბინეტის შედგენას ითხოვს.

**ახალი ცნობანი პოლონელების აჯანყების შესახებ სილეზიაში.**

**ნაუენი.** მაისის 5. იტალიიდან რატიბორში მოხდა სისხლის მღვრელ შეტაკების შესახებ. ეს შეტაკება იყო ერთის მხრივ პოლონელება და მეორეთი იტალიელებსა და გერმანელებს შორის პოლონელები ესროდნენ გოოსტინელებს ტყვიის მფრქვეველებიდან. კრეიცბურგიდან ფრანგების სარდალმა გაიყვანა ჯარი, რადგანაც ქალაქი შეუძლებელი იყო გამაგრება. კატტოვიცში ფრანგების სარდალს დიდი ენერგია გამოიჩინა. რიბნიკის რაიონში დეკორატიულობა სერიოზულია იტალიელებმა გერმანელების დახმარებით წაიღეს რატიბორიდან ტიისაცისაკენ, და შეეცადნენ ქალაქის ხელში ჩაგდებას. პოლონელების ბევრი დიდ იღწიხაოლმდეგად გადასწყვიტა დარჩენილიყო მდინარის მეორე ნაპირზე. ინგლისის სარდალი ტარნოპოლში იცავს ქალაქს, მიუხედავად პოლონელების მრავალი ცდისა, რომ ქალაქი დაეკავებინათ. პლესიის რაიონის სამხრეთი ნაწილი აჯანყებულთა ხელშია. ამ რაიონის რამდენიმე ოსეული გერმანული ძღვლებათ აქ იან წაყვანილი. გლივიცე სამხედრო მინისტრო მესაძლებლად სრულს გამოაქვეყნა 30 ივლისის სახელი. დაკავებულ რაიონებში აჯანყებულებმა დაიჭირეს თავისი ფოსტა და შემოიღეს საფოსტო მარკები. მოკავშირეთა მარკები კი მოსპეს ხმარებიდან.

**სამხედრო წესები ანატოლიაში.**

**ტრაპიზონი.** აპრილის 30. ხანგრძლივი და მწვავე ბრძოლის შემდეგ დასავლეთის ფრონტზე დროე ითი სიწყნარე ჩამოვარდა. ორივე მხარე მეტის-მეტად დაღალულადა გრძნობენ თავსა და იძულებულ არიან დროებით სამხედრო მოქმედება შეაჩერონ. მაგრამ ეს სიწყნარე დროებითია. ბერძნები მოელიან კიდევ მაშველ ძალას. ანატოლიის სარდლობა კი იღებულობს თავის მხრივ სათანადო ზომებს, ახდენს ჯარების გადაჯგუფებას და ემზადება ბერძნების შეტევის მოსაგერიებლად. ვინაიდან საბერძნეთთან შეთანხმებას ჯერ ოფიციალური ხასიათი არ მიუღია და არც დამტკიცებულია. ადანის ფრონტიდან მაშველი ჯარების გადმოსამა შეუძლებელია. შესაძლებელია ეროვნულმა დიდმა ყრილობამ ეს შეთანხმება არ დაამტკიცოს.

**დაშნაკელები.**

**ხრამბთვლი.** აპრილის 4. გაზ. „იერგირის“ ცნობით, ოსმალეთის საზღვარზე გადასულ დაშნაკელებს ანგორის მთავრობამ დიარბექირში დასახლების ნება დართო.

**ქვა-ნახშირის მრეწველობა ჩვენში და ინგლისში.**

**მოსკოვი,** მაისის 9. ინგლისში ვამჩნევთ ქვა-ნახშირის ამოღების თვალსაჩინო შემცირებას ყოველ თვიურად. ამავე დროს დონის ოლქში ქვა-ნახშირის ამოღების საქმე თვალსაჩინოდ იზრდება. იანვარში ინგლისში ამოიღეს 17.000,000 ტონა ქვა-ნახშირი, თებერვალში 17 მილიონი, მარტში 16. დონბასეინში ამა წლის იანვარში ამოიღეს 22 მილიონი ფუთი ნახშირი, თებერვალში 29 მილიონი ფუთი, მარტში 34. პირველ აპრილიდან ინგლისში დაწყებულმა გაფიცვამ ქვა-ნახშირის ამოღება არარაობამდე მიიყვანა მხოლოდ დონის ოლქში ჩვენ მის თანდათან მომეტებას ვხედავთ. ინგლისში მუშაობენ საუკეთესო მანქანისა დიდძალი საქონლისა და მუშათა დიდი მარაგის დროს ნახშირის ამოღება პირდაპირ ეცემა. ხოლო მუშები იძულებულნი არიან გაიქცნენ სიდარიბის გამო. და მათ ქუჩაში ყრიან მადაროს მეპატრონები. დონის ოლქში ნახევრად მშიერი და დაქანცული მადაროში მომუშავენი ცუდ და დაძველებულ მანქანებით მუშაობენ და მიუხედავათ ხელსაწყობის სიმცირისა, ბინის ცუდი პირობებისა, მაინც ენერგიულად გამოდიან თვითონ თვითონ ნახშირის ამოღების საქმეს. დონის მადაროებში მომუშავენი მშიერნი არიან. მაგრამ თავისუფალი მუშაობენ რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის. ხოლო ინგლისის მადაროში მომუშავენი თუმცა მშიერები არ არიან, მაგრამ თავის უფლებას მოკლებულნი ტყვეის-მსგავსებით ყრიან მადაროებში ბანკირთა სარგებლობისათვის.

**უხათეუოდ წაიჩხუბებიან.**

**მოსკოვი.** იაპონურ წყაროებით, ჰავაის კუნძულზე შეერთებულ შტატების იამ... მიერ მოწყობილ იქნება ჰავთასადგური სადაც შეერთებული შტატების მომავალი მთელი სამხედრო ფლოტი დადგება. ადმინისტრატიული ცენტრი იაპონიის კუნძულებისა, რომლებზედაც მიღებული აქვს მანდატი ერთა ლიგისაგან, გადატანილია მალაის კუნძულზე. ეს იწვევს დიდ შეშფოთება ამერიკელთა შორის, რომლებიც შიშობენ, რომ ამაში რაღაც სამხედრო ზომები იმალება.

**თესვის კამპანია.**

**მოსკოვი.** სერპუხოვის გუბ. მაზრებში ხამთარში დახათესის იდგომარეობა 5 პროცენტით აღემატება შარშანდელს. საანეულო მიწების მოთესვა, უკვე დამთავრებულია. მოთესილია ყველა თავისუფალი მიწა.—გომელში საანეულო მიწების მოთესვა დამთავრებულია რამოდენიმე სისოფლო ერთეულში დათესილია სეზონური ნორმაზე 150 პროც.—200 პროცენტით მეტი.

**პროფესიონალური კავშირების საერთაშორისო კონგრესი**

**მოსკოვი.** მაისის 9. 1 ივლისს, როდესაც კი დაითავრდება კომუნისტური ინტერნაციონალის 3-ძე კონგრესი, მოსკოვში გაიხსნება წითელი პროფკავშირების პირველი საერთაშორისო კონგრესი. კონგრესზე მოსკოვში ჩამოვლენ მთელი ქვეყნის 14 მილიონ შეკავშირებული მუშის წარმომადგენლები იმ მიზნით, რომ წარუდგინონ სრულიად დამთავრებული ორგანიზაცია, რევოლუციონური მთავარი შტაბს—წითელი პროფკავშირების საერთაშორისო საბჭოს.

**დონის ოლქი ინჟინერებს იწვევს.**

**მოსკოვი** მაისის 9. დონის ოლქის მუშები თვალსაჩინოთ ეპატიჟებიან ინჟინერებს, უნდა აღინიშნოს მუშათა განსაკუთრებული ერთგულება—და მთელი რიგი ინჟინრების ენერგია. თესვის კომპანია დონის ოლქში ფრიად ნაყოფიერად მიმდინარეობს. აპრილის 20 რიცხვამდე დათესილი იყო 90 პროც. მიწებისა.

**მღელვარება ინგლისის ფლოტში.**

**ლონდონი.** მაისის 8 თემთა პალატაში მუშათა პარტიის წევრმა შეკითხვა შეიტანა მართალია თუ არა ხმები, იმის შესახებ, რომ გემებზე და ნავთსადგურში დააპატიმრეს 300 მეზღვაური. სამინისტროს სტატს-სეკრეტარმა უპასუხა, რომ საზღვაო სამინისტრო ჯარისკაცების ბათალიონმა, რომელიც შეცდომაში იყო შეყვანილი ცრუ ხმებით, თითქოს მათი დახმარებით უნდა ჩაექროთ მაღაროში მომუშავეთა გაფიცვა, კოლექტიური პროტესტი განაცხადეს. პორტსმუთის ბარაკებში ორმა ფეხოსნმა წითელი დროშის გამოკიდება სცადა.

# სისხლის დასტური

როცა ცოცხალ ხახს სხვა საქმე დავტოვოთ და ჩავიხედოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფურცლებში, ვნახავთ სახელოვან გმირთა მოქმედებას არა მარტო ხმლით არამედ კიდევ სხვა გვარ, რომლითაც ჩვენი ერი იყვირჯერ გადარჩენილა დაუნდობელ მტრისაგან გასრესას. ჩვენს წინაპართა დაუკრობელ მოქმედებაში ყასახელოდ, სჩანს ის რომ სხვაგან არა სპობენ, და თავისზე სხვას არ აბატონებენ. ამგვარ ფეხზე მოქმედებით ჩვენი ქვეყანა ძალიან შორიულ წარსულიდან დღემდე ცოცხალი მოვიდა, ვერავის მოსპო, ჩვენი ერის სიმტკიცეს ბევრი „მტრის“ თავი გაახმობ.და უცილა რომლებსაც დიდი ვერაგი ურდოები მეძუმრილები არიან, რაც დამსხვრეულია მათი ორგანიზაციის შესაძლებლობა, მათ ნანგრევებზე თამამად აღმართულია ბალხთა ძმობის, თავისუფლების, მშრომელთა ეგ ცხოვრების იასახი წითელი დროშა, ძლიერ ორასმის ხმა საქართველოს მშრომელი ხალხისა, რომელიც თავისუფლებისა და ბრძოლისათვის მთელი ქვეყნის წინაშე ფიცსა სდებს. საქართველოს ხომ სწორ უქცევიანი მოხმარება ამ დიდი ბრძოლისა. მისთანა—მეზავსიო, უდრეკი თაობისი რევოლუციის ისტორიაში, საქართველოს მშრომელთა ხალხმა თავის თანამშრომელ ინტელიგენციასთან ერთად ბრძოლით შესძლო თავის დადგმა ფასეულ წესითვან. საქართველოს ხალხმა სოძოლით მოიპოვა რევოლუციის ტალღაში სრული უფლება ოისუფლობისა. ბრძოლით გამოაქანდაკა ივერიელი დღე ყოვე ერის ისტორიაში, დღე ძალა დღეზე უდიდესი, ძლიერი თავისი ლამა ბიბაარისით, ყველასაგან ცნობილი დადასტურებული ოცდა ექვსი მაისი. ვის შეუძლიან შეაქროს ოცდა ექვსი მაისის აქტი? ვის შეუძლიან ჩააქროს ერის სული და საუნჯე, ვის შეუძლიან მკაფიოს უკვე თავისუფალი ერის შვილთა მუშაობა? უფლება შემოსილი ქართველი ერის სამშობლოს აშენებს, ოცდა ექვსი მაისის, ლამაზი, ცოცხალი, დიდი დღე, რომლისაც სუნთქავა და სიცოცხლის უყვარს ქართველი, ვისაც დაჩაგრულთა ინგრაოორი, ვისაც ხალხი თავისუფლებისკენ, ის ოცდა ექვსი მაისის ღირსეული შვილი და ინჟინარი. ოცდა ექვს მაისს დღესასწაულოს დამოუკიდებელი მთლიანი საქართველო და მისი მშრომელი ხალხი. ოცდა ექვსი მაისი ქართველი ხალხის უდიდესი მტკიცე სამარადისო სიცოცხლით სავსე არსებობისა, განადგურებულ რევოლუციონურს ისტორიაში ვინ არ იზეიმებს დიდ ისტორიულ დღეს? ამას მომავალი გვიჩვენებს.

მუშა ვანო.

# მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატის საოლქო მაზრის რევკომის მიმართ

**მიწების შესახებ.**

**№ 1.**

სადგურ-მამულთ ურთიერთობის და მიწით სარგებლობის მოწყობის დროს, ყოველგვე ანარქიის და არეულობის თავიდან ასაცილებლად, წინადადებ გეძლევათ, თანახმად მუხ. 6 ა. წ. 6 აპრილის დეკრეტისა № 17 მიწის შესახებ, დაუყოვნებლივ შეუდგეთ მიწის კომიტეტების შედგენას, რის შესრულების დროსაც უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1) სამაზრო რევკომის რწმუნებულნი მიდიან სოფლებში, შეჰყრიან უმიწოწყლო, მცირე და საშუალო მიწის მქონე მშრომელთა ყრილობას და ეს უკანასკნელი თავიანთ შორის ირჩევს მიწის კომიტეტს; ყრილობას თავმჯდომარეობს რევკომის რწმუნებული.

2) როცა ორი ან მეტი სოფელი ერთმანეთთან ახლო მდებარეობენ ან მათის მიწაწყლის ურთი-ერთობა და საკითხი იმდენად გადაბმულნი არიან, რომ გარემოება მოითხოვს მათი მიწების საქმის ერთად და თანხმობით გადაჭრას, ასეთ სოფლებს შეუძლიანთ აირჩიონ ერთი კომიტეტი.

3) როცა მიწის კომიტეტს ირჩევს ერთი სოფელი, მასში უნდა აირჩეს არა ნაკლებ სამისა და არა უმეტეს ხუთი პირისა და როცა კომიტეტს ირჩევს ორი ან მეტი სოფელი ერთად, ამ კომიტეტში თითო სოფლიდან უნდა აირჩეს არა უმეტეს სამი კაცისა.

4) მიწის კომიტეტი თავის წევრებს შორის აირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას თუ ამ თანამდებობათ ცალკე ვინმე არ აღმოჩნდება მიწად მოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი.

5) თანახმად დეკრეტისა, მიწის კომიტეტები ახდენენ მიწის ჩამორთმევას (კონფისკაციას) მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის და სამაზრო გლეხთა დეპუტატების საბჭოს ან რევ. კომ. წარმომადგენლებთან ერთად (მუხ. 6 დეკრ.) ამის გარდა მიწის კომიტეტებს არ შეუძლიანთ აწარმოონ მიწების ჩამორთმევა (კონფისკაცია) ადგილობრივ წარმომადგენელთა დაუსწრებლად.

6) დამთავრდება-რა კომიტეტების მოწყობა, სამაზრო რევკომები ტელეგრამით აცნობებენ სახალხო კომისარიატს კომიტეტების რაოდენობას, რათა კომისარიატმა იცოდეს თუ რამდენი წარმომადგენელი დასჭირდება გაგზავნოთ თავის მხრით თითო მაზრაში.

7) მიწის კომიტეტებს ჯილდოს მიცემს მთელი სოფელი. ჯილდო განსაზღვრული უნდა იქნეს კომიტეტის ამორჩევ ყრილობაზე. მიწის კომიტეტი მიიღებს ჯილდოს დღიდან მისი მოქმედების დაწყებისა. 14 აპრილი 1921 წ.

**№ 2.**

მიუხედავათ საქართველოს რევკომის ციოკვე ცნობილ განკარგულებისა და ამავე რევკომის მიწის დეკრეტის დედააზრისა, რესპუბლიკაში და განსაკუთრებით რამოდენიმე მაზრაში ფართოთ აქვს ადგილი არა სასურველ მოვლენებს მიწის დარგში, ე. ი. მცხოვრებნი თავის ნებით და ძალმომრეობით იტაცებენ მიწებს ამას დაურთეს მეტად მძიმე სამაგიეროები, რომლებიც შემოდიან კომისარიატში.

კიდევ განმეორებით გაცნობებთ სახელმძღვანელოთ, რომ სანამ არ მოეწყობა მიწის კომიტეტები, რომლებიც მიწად-მოქმედების კომისარიატის ხელმძღვანელობით განახორციელებენ მიწის რეფორმას, რევკომებმა მაზრაში არ უნდა დაუშვან ანარქიის გამეფება, ე. ი. მცხოვრებნი თავის ნებით და ძალმომრეობით ხე შეეხებიან წვრილ და საშუალო მესაკუთრეების და საეროთოდ ხე აიღებენ ფაქტიურ მფლობელობას. 19 აპრ. 1921 წ.

**№ 3.**

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი, იღებს რა მხედველობაში, რომ მიწის კომიტეტების მუშაობას ხორციელება გამოკვლევის შესახებ და გეგმების გამოსაშვებას, დამტკიცებას და ადგილზე შესრულებას დასჭირდება დიდი დრო და ეს ვრება კი თხოულობს აგრარულ კითხვების ამ წუთშივე ასე გადაჭრას, ავალებს სამაზრო რევოლუციონერ კომიტეტებს მიიღონ ეხლავე შემდეგი დროებითი წესები სახელმძღვანელოთ:

1) არავინ გასცეს მიწა სამუშაო ქირით ან ღალით, გარდა წვრილ ქვრივი ქვრივი დედაკაცებისა, სამხედრო, ან სამოქალაქო სამსახურში მობილიზაციით გაწვეულთა და ისეთ გაწვეულთა და ისეთი პირებისა, რომლებიც დასნეულების ან ღრმა მოხუცებულების გამო თვითონ ვერ შესძლებენ მიწის დამუშავებას და არც ოჯახში ეყოლებათ მიწის მუშაკი.

2) საზიაროთ გაცემული წვრილი და საშუალო ზომის მიწების შესახებ პირობები უნდა ძალაში დარჩეს ამ წლის მოსავლის მოწევამდე.

3) უმიწოწყლო ან მცირე მიწის მქონე სოფლელ ... რათა ... შეერთდნენ ... ბით კომუნებში ან ამხანაგობებში და ერთად დაამუშაონ მიწა. ამ შემთხვევაში მათ უნდა მიეცეს დროებით, სათანადო კანონის გამოცემამდე, ცალკე ნაჭერი სახნავ სათესი მიწისა სახელმწიფო სადგურ-მამულთ თავისუფალი ფონდიდან და თუ საჭიროა და შესაძლებელია, აუშა საქონელი, იარაღი და სათესი მასალა.

4) თუ კომუნებათ, ამხანაგობებათ ან ჯგუფებათ შეერთება არ მოეწყო, მიეცეს უმიწოწყლოებს და მცირე მიწის მქონე სოფლის მუშას სახელმწიფო სადგურ-მამულთ თავისუფალი ფონდიდან საკმაო მიწა დასამუშავებლად და საჭიროების და შეძლებისდა გვარათ დახმარება მუშა საქონლით, იარაღით და სათესი მასალით.

5) არ დარჩეს დაუმუშავებელი არც ერთი სახნავ-სათესათ ვარგებული მიწის ნაჭერი, ბაღი ან ვენახი მოუვლელი.

6) როდესაც აღიძვრება რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება რამოდენიმე სოფელს, მოხდება ამ სოფლების მიწის კომიტეტების შეერთებული კრება სამაზრო რევ. კომ. წარმომადგენლის თანდასწრებით საქმის მოსაგვარებლად.

7) საერთოდ ყველა კითხვები სადგურ-მამულთ ურთი-ერთობის და მიწის შესახებ უნდა გადაწყვეტილ იქნას რევოლუციონურ სინდისის და სამართლიანობის თანახმად, და ყველა გადაწყვეტილებები მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატს ეცნობოს.

8) მეზვიდე მუხლში ნაჩვენები გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირთ შეუძლიანთ გაასაჩივრონ მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს ორი კვირისა.

9) საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. 20 აპრილი, 1921 წ.

**№ 4.**

მიწის დეკრეტის № 17) ზოგიერთ მუხლების განსამარტებლად მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი აცხადებს შემდეგს:

1) თანახმად ა. წ. 23 აპრილის დამტკიცებულ „წესების“ მე 3-ძე მუხლისა მიწების ჩამორთმევა დახმარების შესახებ საქართველოში მიწით სარგებლობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვინც კი დაამუშავებს მას საკუთარის შრომით.

2. ყოფილ მემამულეს, რომელიც დაბრუნდება თავის მამულში ამა წლის 15 ივნისამდე და განაცხადებს, რომ მას სურს მიწის დამუშავება საკუთარი შრომით, საერთო წესით უნდა მიეცეს ნორმა დეკრეტის ძალით თავის ყოფილ მამულში.

3) დაბრუნებულ მემამულეს, რომელიც 1922 წ. 1 იანვრამდე არ შეუდგება წილცემული ხნოვის თავისი შრომით დამუშავებას, ჩამოერთმევა უფლება სიხნებულ ხნოვაზე, რომელიც ჩაითვლება მიწის ფონდში.

4) ყველა მუშა მოსამსახურეს საქართველოს საბჭოთა სახელმწიფო საწარმოების და სამრეწველო დაწესებულებისა, რომლის ფლობაში არის მცირე ახო საბაღე-ბოსი მიწა-ადგილი, დამუშავებული თუ დაუმუშავებელი, და რომელი მხოლოდ დრო გამოვებით მათი საკუთარი შრომით, უფლება აქვს დაიტოვოს თავის მფლობელობაში ასეთი მიწები.

5) [illegible] პირებზე, რომლებიც ცხოვრობენ სხვისი შრომის ექსპლოატაციით (ვაჭრები, ფაბრიკა ქარხნების პატრონები და სხვა). 27 აპრილი 1921 წ.

რედაქტორი თედო ღლონტი.

გამომცემი ცენ. მთავარი კომიტეტისა.

**დაიკარგა** 3 რაღდენის მოწმობა მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, იუსტინე შარაშიძის სახელი ზე ითვლება გაუქმებულათ.

962



სტამბა „მუშური ხაზი“ [illegible] № 14